ა. ფრონელი

(ა. ყიფშიძე)

# საქართველოს მეფეთა ბრძანებანი

ტფილ.

1900 წ.



# საქართველოს მეფეთა ბრძანებანი

## 1

### უმაღლესი ბრძანება *)

მაღალ ხარისხოვან მამედ-შარიფ-აღას ეუწყოს და იცოდეს, რომ, როგორც ძველადგანვე მისი წინაპარნი ყოფილან სოფელ სალაღლუს **) საზოგადოების გამგედ და აღსაკალად ***), აგრეთვე ეხლაც წყალობით უბოძებთ მის მაღალ-ხარისხოვნებას დასახელებული საზოგადოების აღსაკალობის წოდებას, ვინაიდგან ერთგულება გამოუჩენია და სამსახური გაუწევია, რომელსაც დღესაც არ ჰკლებს. ვიმედოვნებთ, რომ დასახელებული საზოგადოების საქმეებს განაგებს სიმართლით და იზრუნებს იმ გვარად, რომ ხალხი

---

*) ეს ფრიად საყურადღებო და შემდეგი 14 დოკუმენტი გადმოსცა „მოამბის“ რედაქციას ტოპოგრაფიის კაპიტანმა იბრაჰიმ-პაშა-აღა ოღლი ვექილოვმა, რომლის წინაპარნი არიან აქ მოხსენებულნი. ბრძანებანი დაწერილია თათრულად და თარგმნილი რუსულად. ქართულად გადმოღებულია რუსულიდან. ა. ყ—ძე.

**) სალაღლი, ანუ სალახლუ. ყაზახის მაზრაშია (განჯის გუბერნია). ამ ჟამად ითვლება სამი სოფელი სალაღლუს სახელწოდებით. ზემო სალაღლუ—345 კომლი, ქვემო სალაღლუ—366 კომლი და დაშ-სალაღლუ—287 კომლი. მკვიდრთა რაოდენობა ნაჩვენებია 1886 წ. კომლეულად აღწერილობის მიხედვით. ერეკლე და გიორგი XII მეფეთა დროს ყაზახ-ბორჩალო საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა და მის განუყრელ ნაწილს შეადგენდა. ა. ყ—ძე.

***) სიტყვა აღსაკალი თათრულია (აღ—თეთრი და საკკალ—წვერი) ამ სახელით იხსენება საპატიო მოხუცებული. იხ. ს. პ. ზელინსკის განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 3. ა. ყ—ძე.

კმაყოფილი და მადლობელი დარჩება მისის გამგეობით. სოფელ სალაღლუს საპატიო და დანარჩენი გლეხნი მოვალენი არიან შეიწყნარონ და აღიარონ ერთად-ერთ თავიანთ აღსავალად მხოლოდ დასახელებული დიდ-გვაროვანი მამედ-შარიფი და ურჩობა არ გაუწიონ მასა. აგრეთვე თავის მოვალეობად უნდა მიიჩნიონ აასრულონ უარის უთქმელად მისი სიტყვანი და განკარგულებანი, გამოწვეული ჩვენდა სასარგებლოდ. 18 რიცხვსა თვესა რაბიულ-ევველისა 1162 წ. ჰიჯრისა. *) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი. ამასთანავე ჩვენი ბრძანებაა: რადგანაც დიდ-გვაროვან საფხან-ბეგს თვალის ავადმყოფობის გამო აღარ შეუძლიან განაგოს საზოგადოების საქმენი, ამისათვის საზოგადოების მოვლა-პატრონობა მიგვინდვია მისი ბიძაშვილისათვის, რომელმაც ამ ბრძანების აღსრულება უნდა ჩასთვალოს თავის მოვალეობად. (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

II

## უმაღლესი ბრძანება

სამეფო დღესასწაულ ნავრუზის დასაწყისიდან 1171 წ. **) გვიწყალობებია დიდად ღირსეულის მამედ-შარიფ-აღა-ქოსალუსთვის, ერთგულობისა და პირადი ღირსებისა გამო, სალაღლუს აღსავალობა, რათა სიმართლით და უანგაროდ განაგებდეს საზოგადოების საქმეებსა, მიდგომით არ იკრიფებოდეს ხარჯი და რათა ძლიერთ არ დასჩაგრონ და არ შეაწუხონ სუსტნი და უძლურნი. მართვა-გამგეობა საზოგადოებისა ისეთი უნდა იყოს, რომ ხალხი მშვიდობითა და წყნარადა სცხოვრობდეს და კეთილდღეობას აღწევდეს. ამასთანავე სალაღლუს საპატიო კაცნი და სხვანი მოვალენი არიან

*) რაბიულ-ევველი მკათათვის თვეა. 1162 წელიწადი ჰიჯრისა უდრის 1748 წ. ქრისტეს დაბადებიდან. ა. ყ—ძე.

**) 1757 წ. 2 სექტემბერი. მაჰმადიანთა ახალწელიწადი—ნავრუზობა შემოდგომაზე იწყობა. ა. ყ.

იცნონ და შეიწყნარონ აღსაკალად მამედ-შარიფ-აღა, დაემორჩილონენ ყოველ მის განკარგულებას და ბრძანებას, ჩვენდა სასარგებლოდ გამოწვეულთ და გულში არ გაიტარონ ურჩობა. მოვალენი არიან აგრეთვე მიიჩნიონ თავიანთ მოვალეობად და აღასრულონ მისი ბრძანება და განკარგულება, გამოწვეული ჩვენდა სასარგებლოდ. 1171 წ. (1757 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

## III

### უმაღლესი ბრძანება

ამით ეუწყოს სოფელ სალაღლუს საზოგადოების საპატიო კაცთა და მკვიდრთა, რომ ამ ჟამად ჩვენ, გამოვიძიეთ რა ორთავე მხარეს საჩივარი, თანახმად მათის თხოვნისა და სურვილისა, გადავწყვიტეთ ასე: სიბერისა, მოხუცებულობისა და სრულიად დავრდომილებისა გამო, მამედ-შარიფ აღა აღარ უნდა ერეოდეს სოფელ სალაღლუს საქმეებში. რადგან ჩვენი უმაღლესი კეთილგანწყობილება ეკუთვნის ფანახ-აღის კეთილშობილ და პატივცემულ გვარსა ამისათვის მას მივანიჭეთ მეათე თვის სიჩკან-ილის 1181 წ. (მაჰმადიანთა წელთა აღრიცხვა) *) პირველ რიცხვიდან წოდება სოფელ, სალაღლუს საპატიო მამასახლისისა (აღსაკალი) და აღისა (თავადი) იმ პირობით, რომ ფანახ-აღა განაგებდეს სოფელ სალაღლუს საქმეებს პატიოსნებით და კაცთ-მოყვარეობითა, იფარავდეს და პატრონობდეს მდიდარსა და ღარიბსა, ძლიერსა და სუსტსა, მოზრდილსა და მცირეწლოვანსა და უვლიდეს სოფელ სალაღლუს დიდის პატიოსნებითა და სიმართლითა. ყოველნაირი ხარჯი და გადასახადი, მთავრობისაგან განწესებული და შემოღებული, უნდა გასწეროს და გაანაწილოს ქვეშევრდომთა შორის ერთ ყალიბზე და იმის მიხედვით, ვის რა ქონება და შეძლება აქვს, ან რა ნაირი ალაგი უჭირავს საზოგადოებაში, რათა ყველანი, დიდი და პატარა, კმაყოფილნი იყვნენ მთავრობის ბრძნული გამგეობით. თვით საზოგადოება

*) ქრისტიანულ წელთა აღრიცხვის 1767 წ. მაისის 17-ს ა. ყ.

მოვალეა პატივი სცეს და უყვარდეს ზემოდ მოხსენებული ფანახ-ალა, იცნოს იგი სრულის უფლებით აღჭურვილ და დამოუკიდებელ თავისს საპატიო მამასახლისად (აღსავალი) და დაემორჩილოს ყოველ მის ბრძანებას და მოთხოვნილებას, რომელიც კი ეთანხმება მთავრობის განზრახვას და მოთხოვნილებასა. უკეთუ ამ საგნის შესახებ ორთავე მხარის აზრს სხვა-და-სხვაობა დაეტყობა, ასეთი სხვა-და-სხვაობა და უთანხმოება სასტიკი სასჯელით გათავდება. ხოფელ სალაღლუს საზოგადოების საპატიო კაცთა და მკვიდრთ ამით ებრძანებათ: არ გაიღოთ არავითარი გარდასახადი და სახელმწიფო ბეგარა ზემოდ დასახელებული საპატიო მამასახლისის ფანახ-ალის დაუკითხავად და იმის პირისპირ დაუსწრებლად. ბრძანება ესე აღსრულებულ უნდა იქმნეს დაუყოვნებლივ და სიტყვის შეუბრუნებლივ. დაიწერა ზილ-ჰიჯის 17-სა, წელსა 1181. (1767 წ. მაისის 17-სა) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

## IV

## უმაღლესი ბრძანება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ, უმაღლესის ჩვენის ნებით და სურვილითა, ყველას, ვინც კი გულწრფელად გვემსახურებოდა, მუდამ ერთგული დ მორჩილი ყმა იყო ჩვენი, ვინც კი თვისსა სიცოცხლესა ატარებდა დაუღალავ შრომაში ჩვენის მართვა-გამგეობის საკეთილდღეოდ, ენიჭებოდა ჩვენგან წყალობა და სიუხვე და ამით განირჩეოდა იგი სხვათაგან. ასეთი ერთგული, პატიოსანი და ჩვენთვის თავდადებული ყმაა სალახლოელი ფანახ-ალა ქოსა-ოღლი, რომელიც გვემსახურებს რა სიყრმიდან დღევამდლამდე, იჩენდა ყოველ თავისს საქციელსა და საქმეში სიმართლეს, გულწრფელობას და სრულს მორჩილებას. ამის გამო სამაგიეროდ ზემოდ დასახელებული ფანახ-ალის პატიოსანის შრომისა, უმწიკვლო ღვაწლისა და სამსახურისა, ჩვენმა კეთილშობილმა გულმა—წყალობისა და სიუხვის დაუშრეტელმა წყარომ—გამოიჩინა ფანახ-ალისადმი თვისი თავაზიანობა და წყალობა იმითი, რომ უბოძა დიდი გვარის ჩამო-

მაგალ ფანახ-აღას წოდება ყაზახის მაგალის ყველა პროვინციების ვექილის *) წოდება. დავნიშნეთ რა ვექილად, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ფანახ-აღა ყოველ თავის საქმესა და განზრახულებაში მოიქცევა პატიოსნებითა და სამართლით და რაც ხანი გავა უფრო მეტს მეცადინეობას და გამოცდილებას გამოიჩენს მინდობილ თანამდებობის აღსრულებაში, რათაც დაიმსახურებს **ქვეყნის** განათლებული **მბრძანებელის უმაღლეს ყურადღებას**. ფანახ-აღა მოვალეა განსაკუთრებით ეცადოს დაამყაროს მაგალში წეს-რიგი და მყუდროება, შეჰკრიფოს სხვა და სხვა მხარეს გაბნეული გლეხნი და მიიღოს ღონის-ძიება მაგალის კეთილად მოწყობისათვის. გლეხ-კაცობას და დანარჩენ მის ხელ-ქვეითებს უნდა მოეპყრას ლმობიერად, აღალარებთან, მელიქებთან და საპატიო კაცებთან იქონიოს კეთილი განწყობილება, ისე რომ როგორც საპატიო კაცნი, აგრეთვე გლეხ-კაცობა, დიდი და პატარა, ყველა კმაყოფილნი იყვნენ მისით და მისი მართვა-გამგეობით. ხარჯი და ჩვენთვის გადადებული გადასახადი უნდა აიკრიფოს სისწორით და სამართლით; ამასთანავე ღარიბნი არ უნდა იყვნენ შეწუხებულნი; სუსტსა და ქონებით შეუძლოს უნდა მოეპყრნენ ლმობიერად და არ დააჩაგვრინოს ძლიერსა. თანახმად ამისა ჩვენ დავადგინეთ, რომ ყაზახის მაგალების აღალარებმა, მელიქთა, მამასახლისებმა და გლეხ-კაცობამ იცნონ და შეიწყნარონ დიდგვაროვანი ფანახ-აღა სრულის უფლებით შემოსილ ჩვენს ვექილად, აასრულონ სისწორით ყველა მისი დარიგება, რჩევა და ბრძანება, რომელთაც აზრადა აქვს თვით მათი სარგებლობა და ხეირი, და რომელთაც ხელი უნდა შეუწყოს და დაამკვიდროს ამ მხარეში კეთილგანწყობილება, სამართალი და კანონი. სასტიკად უკრძალავთ ყველას ჩვენის ვექილის ურჩობას და მის კანონიერ მოთხოვნილების აუსრულებლობას. ასეთი ურჩობა შესაფერს სასჯელს გამოიწვევს. დაიწერა თვესა რამაზანს 1188 წ. (1774 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

---

*) ვექილი—რწმუნებული, ადვოკატი, ელჩი; მაგალი—ოლქი. ორივე სიტყვა თათრულია. იხ. ზელინსკის ლექსიკონი, გვ. 16 და 46. ა. ყ.

V

## უმაღლესი ბრძანება

მივიღეთ რა მხედველობაში ღირსეული და დიდად სასარგებლო ღვაწლი და სამსახური დიდგვაროვანის და გულწრფელად ჩვენის ერთგულის სალასლოელის ფანახ-ალა ქოსა-ოღლისა, ჩვენ, ჩვენისავე უსამზღვრო სიუხვისა და წყალობისა გამო, ვუბოძეთ ზემოდ მოხსენებულ ფანახ-ალას ამ ჯემდიელ-ევველის რიცხვიდან 1199 წელსა (მაჰმადიანთა წელთა აღრიცხვა=უდრის ქრისტიანულს 1784 წ. თვესა ნოემბერსა) ყაზახის ვექილობა სრულიად ყაზახის მაგალისა. გამოვიჩენთ რა მისდამი ასეთს წყალობას, სრული იმედი გვაქს, რომ ფანახ-ალა აასრულებს თავისს მოვალეობას პატიოსნად და უანგაროდ, და მოეპყრობა მეზობლებსა და გლეხ-კაცობას ლმობიერად და შეწყალებით, ისე რომ ყველანი კმაყოფილნი დარჩებიან მის მართვა-გამგეობით და მოპყრობით. ვიმედოვნებთ, რომ, რაც ხანი გავა, მით უმეტეს გაორკეცდება მისი ერთგულობა და მართვა-გამგეობის საქმეში გამოცდილობა. მაშინ, მოგვხსენდება რა მისი სასარგებლო მოქმედობის ამბავი, დავშთებით კმაყოფილნი. ფანახ-ალა განსაკუთრებით უნდა ეცადოს კეთილად მოაწყოს თვისი მაგალი, შეჰკრიბოს ერთ საზოგადოებად გაბნეული გლეხ კაცობა, ყველაფერი მოიყვანოს ცნობაში და დაამყაროს წესი და რიგი და მყუდროება. სახელმწიფო გარდასახადის და სხვა სავალდებულო ხარჯის სწორი და ნამდვილი ანგარიში იქონიოს, არ შეაწუხოს მეტის-მეტად გარდასახადით ღარიბნი, შეეწეობა აღმოუჩინოს შეუძლებლთა და ხელ-მოკლეთა და მფარველობა გაუწიოს ღარიბთა. თვალ-ყური უნდა ეჭიროს, რომ ძლიერმა ქონება არ წაართვას სუსტსა და ღონე მიხდილსა, და ან სხვაფრივ როგორმე არ შეაწუხოს და დაჩაგროს. ამასთანავე ვუბრძანებთ აღალარებს, მამასახლისებს და გლეხ-კაცობას, რომ ფანახ-ალა აღიარონ აღნიშნული მაგალის დამოუკიდებელ და სრულის უფლებით შემოსილ ჩვენს რწმუნებულ ვექილად.

მისი სიტყვანი და ბრძანება, თქმული ჩვენის მთავრობა-მმართველობის სასარგებლოდა და საკეთილოდ დაუყოვნებლივ და უარის უთქმელად უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ურჩნი ღირსეულად დაისჯებიან. დასამტკიცებლად ამისა ებოძა ფანახ-ალას ესე ბრძანება. დაიწერა ჯამადიელ-ევველსა, 1199 წ. ჰიჯრისა (1784 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი მეფე ერეკლესი.

## VI

### უმაღლესი ბრძანება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უმაღლესის ჩვენის ნებათა ყოველი ჩვენი წინანდელი ყმა, სულით და გულით ჩვენი ერთგული, რომელიც მუდამ მზადაა შემოგვწიროს სიცოცხლე, ყველაფრის გამგონეა და მორჩილი, მუდამ ყამს ღირსი გამხდარა უმაღლესის ჩვენის წყალობისა, რითაც იგი ამაღლებულა, დაწინაურებულა და სხვათაგან გამორჩეულა. ამისთანა ერთგულ და პატიოსან ყმათა რიცხვს ეკუთვნის სალახლოული ფანახ-ალა-ოღლიცა, რომელიც სიყრმიდანვე, შეიმოსა რა ერთგულების და უქვეშევრდომილესის სარტყელით, დაუღალავად და პატიოსნურად მუშაობდა და იღვწოდა ჩვენს სასარგებლოდ. სამაგიეროდ ასეთის მისის ერთგულების და ხანგრძლივი სამსახურისა გვიწყალობებია მისთვის საშვილიშვილო ხარისხი ყაზახის ვექილისა. ხარისხი ესე უნდა შერჩეს და განგრძელდეს საშვილიშვილოდ, გადავიდეს მამიდან შვილზე, ვიდრე არ აღმოჩნდება, ღმერთმა კი ნუ ჰქნას ესე, რაიმე ღალატი და ვერაგობა შესახებ ჩვენის სამეფო სახლისა, ან ურჩობა კანონისა. უკეთუ ეს არ მოხდება, მაშინ დასახელებული ხარისხი ვექილობისა ვერ ჩამოერთმევათ ვერც ჩვენისა და ვერც ჩვენთა შვილთა და ჩვენთა შვილის-შვილების უფლებით. რაკი ასეთი წყალობა და ყურადღება აღმოვუჩინეთ ფანახ-ალას, იგი მოვალეა პატიოსნად და სიმართლით განაგოს მაგალის საქმენი და ეცადოს დაამყაროს მაგალში მშვიდობა და მყუდროება. ხალხს უნდა მოეპყროს თავაზიანად და ღმობიერად და ამით გაამართლოს ჩვენი იმედი და დაიმსახუროს უმაღ-

ლესის მბრძანებლის ყურადღება. ხარჯისა და სხვა გადასახადის აღება-აკრეფაში ფანახ-აღა მოვალეა დაიცვას სისწორე და სიმართლე. უნდა ეცადოს ისე დახელოვნებით და ბრძნულად განაგოს საქმენი, რომ საპატიო კაცთა და გლეხ-კაცობამ მადლობა შესწირონ ლმობიერად მოქცევისათვის. ამ ბრძანების ძალით ყაზახის აღალარნი, საპატიო კაცნი და გლეხობა მოვალენი არიან მიიღონ და აღიარონ დასახელებული ფანახ-აღაი დამოუკიდებელ და სრულის უფლებით შემოსილ თავიანთ ვექილად საშვილი-შვილოდ. მისი სიტყვანი, რჩევა-დარიგებანი და ბრძანება, თქმული და მიმართული დასაცველად ჩვენის კანონისა და გამგეობისა, უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ და სიტყვის შეუბრუნებლად. სასტიკად აღგვიკრძალავს ურჩობა და აუსრულებლობა ფანახ-აღის სიტყვა-ბრძანებისა; დამნაშავე დაისჯება სასტიკად. დაიწერა თვესა ჯემადიე-სანისა, 1199 წ. ჰიჯრისა (1784 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

## VII

### უმაღლესი ბრძანება

მივიღეთ რა მხედველობაში **უმაღლესი ბრძანება** და კეთილ-განწყობილება ჩვენი ღირსისა და ფასდაუდებელი ალი-აღისადმი, ჩვენის ვექილის დიდ გვაროვანი ფანახ-ბეგის შვილისა, განვაწესეთ იგი აღად (თავადად) და საპატიო მამასახლისად (აღსაკალად) ბუტაირი ყარაკონლეუს საზოგადოებისა. ზემოდ მოხსენებული ალი-აღა, მივა თუ არა დანიშნულ ადგილს, უნდა შეუდგეს თავის მოვალეობის აღსრულებას პატიოსნებით, სიმართლით და უანგაროდ. მოვალეა ხარჯისა და სხვა განწესებული გადასახადის აკრებაში დაიცვას უმაღლესი ზომიერება და სიმართლე; ხალხს მოეპყრას ისეთის თავაზიანობით, რომ ყველანი კმაყოფილნი იყვნენ მისი გამგეობით და შეიყვარონ. ისე უნდა განაგოს მიბარებული საზოგადოება, რომ მთავრობის უმაღლესმა წარმომადგენელმა მიაქციოს ყურადღება მის პატიოსან და გამოცდილებით აღსავსე მოვალეობის აღსრულებას და შეიყვარონ იგი. ამ ბრძანებით ვავალებთ ზემოდ

დასახელებულ საზოგადოების მამასახლისით და გლეხ-კაცობას მიიღონ და აღიარონ მოხსენებული აღა (თავადი) თავის აღად (თავადად) და აღსაკალად და უჩრობა არ გაუწიონ მის სიტყვასა და ბრძანებას, რომელიც კი ეთანხმება ბრძანებასა ჩვენსასა. დაიწერა თვესა რამაზანსა, 1201 წ. ჰიჯრისა 1786 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

## VIII

### უმაღლესი ბრძანება

რადგან წყალობის თვალით ვუყურებთ დიდი გვარის ჩამომავალს მამედ-შარიფ-აღის შვილს, სალახლოელ ფანახ-ბეგს, უმაღლესად ვბრძანებთ და გვიწყალობებია მისთვის სომხებით დასახლებული სოფელი ყარადაში *), რათა ფანახ-ბეგი იყვეს მუდმივ და განუტეხელ ჩვენს ერთგულებაში და რათა მომავალში უფრო მეტი ერთგულება და მეცადინეობა გამოიჩინოს სამსახურში და არ დაარღვიოს შემოღებული კანონების და წესების სამზღვარნი. 1201 წ. ჰიჯრისა (1786 წ.) ადგილი ბეჭდისა. ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

## IX

### უმაღლესი ბრძანება

სიუხვე ჩვენის მონარქიულის წყალობისა გავრცელებულია დიდი გვარის ჩამომავალ და მაღალ ხარისხოვან ფანახ-ბეგზე და მირზა-ალი-აღაზე, რომელნიც ერთგული და სამაგალითო სამსახურის გამო ღირსნი არიან ასეთის წყალობისა. ამისათვის ვუბოძებთ რა სოფელ ასლანბეგლუს, **) ინჯასა და მათზედ მიწერილ პატარ-პა-

*) ყარადაში სოფელია ყაზახის მაზრაში. 1886 წ. ითვლებოდა 175 კომლი. ა. ყ.

**) ასლანბეგლუ სოფელია ყაზახის მაზრაში (განჯის გუბერნია). 1886 წ. ითვლებოდა 204 კომლი. ა. ყ.

ტარა სოფლების აღსაკალობას (საპატიო მამასახლისი), დავავალებთ —განაგონ ეს სოფელნი ღმობიერად, უანგაროდ და ბრძნულად, ეცადნონ განაკარგონ ხალხის კეთილდღეობა და ამით დაიმსახურონ ჩვენი უმაღლესი ყურადღება, რათა ჩვენი წყალობის ღირსნი გახდნენ შემდეგშიაც. თანახმად ამა ბრძანებისა, მივუწერთ ასლანბეგლუს წარმომადგენელთ და გლეხ-კაცობას, იცნონ დასახელებული დიდგვაროვანი ფანახ-ბეგი და მირზა-ალი-აღაი თავიანთ აღსაკალად ყოველივე უფლებით და უპირატესობით, რაც მთავრობას მიუნიჭებია ამ წოდებისათვის, გაუწიონ მათ სრული მორჩილება და შეასრულონ ყოველი მათი ბრძანება, რომელსაც საგნად აქვს სარგებლობა უმაღლესის ჩვენის მთავრობისა. შაბანის თვე 1204 წ. (1789 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

✕

## უმაღლესი ბრძანება

უმაღლესის ბრძანებით ვაცოდინებთ უმმალთ *), რომ დიდგვაროვან ფანახ-აღას გავუჩინეთ წელიწადში 40 თუმანი ჯამაგირი, რომელიც, თანახმად ამა ბრძანებისა, ყოველ წლივ უნდა მიეცეს ყაზახის პროვინციის შემოსავლიდან. ამისათვის ზემოდ აღნიშნული ჯამაგირი უნდა ემლეოდეს დიდგვაროვან ფანახ-ბეგს, რათა იგი არ მოაკლდეს. ამ ბრძანების აღსრულებაში წინააღმდეგობა არ უნდა იყვეს და მისი აღსრულება თავიანთ მოვალეობად უნდა მიიჩნიონ მოხელეთ. თვეს რაჯაბსა 1212 წ. ჰიჯრისა (1797 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

---

*) უმმალი პროვინციის გამგებელი, გუბერნატორი, ანუ სახელმწიფო ხარჯის ამკრეფი, საზოგადოდ კი მთავრობის მოხელე. ეს აღსნა თვით დოკუმენტის რუსულ თარგმანშია მოქცეული. ა. ყ.

## XI

### უმაღლესი ბრძანება

უმაღლესის ბრძანებით ვაცოდინებთ მაღალ ხარისხოვან ეშიკ-აღასი *) იუსუფ-ბეგსა, რომ მიღებისათანავე ამა ბრძანებისა და მისის შინაარსის შეგნებისა მოვალეა სოფელ ფირილუს **) სომხები, რომელთა სახელები აღნიშნულია ცალკე სიაში, სადაც უნდა იყვნენ გადასახლებულნი და ვისთანაც უნდა იყვნენ შეხიზნულნი, გადმოასახლოს ს. ფირილუს და ჩააბაროს დიდგვაროვან ფანახ-ბეგსა. ეს ბრძანება უნდა აღსრულდეს ყოვლის მიუდგომლობით. თვესა ზილ-ქადესა ***) 1212 წ. ჰიჯრისა (1797 წ.) (ა. ბ) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მისი მემკვიდრე დავითისა.

---

*) ეშიკ-აღასი უმაღლესი კარის კაცის ხარისხია სპარსეთში. ამ მოხელეს მოვალეობაა წარუდგინოს შაჰსა ყველა დიდებული, განურჩევლად იმისა, დიდებული სამხედრო უწყებისაა, თუ სამოქალაქოსი. ეს აღნაც თვით დოკუმენტის რუსულ თარგმანშია მოქცეული. ა. ყ.

**) ეხლა ფირილი ჰქვიან. ეს სოფელი ყაზახის მაზრაშია. 1886 წ. იყო 104 კომლი. ა. ყ.

***) ამ ქრონოლოგიის გასაგებად უნდა მივიღოთ მხედველობაში შემდეგი: მუსულმანთა თვე მთვარისაა და შეიცავს 28 დღესა, ამის გამო მათი წელიწადი ნაკლებია ჩვენზე და პირველი რიცხვი მათის რომელიმე თვისა ერთს წელიწადს რომ შეეთანხმოს ჩვენსას, მეორე წელიწადს აღარ შეეთანხმება და წინ გაუსწრებს რამდენიმე დღით. ჰიჯრიდან ნაანგარიშები წელიწადი 1212 დაიწყო 13 თიბათვეს 1797 წელსა და დასრულდა 2 თიბათვეს 1798 წ. მაშასადამე ჰიჯრის 1212 წელიწადი პირველ შეხედვით თუმცა უდრის 1797 წ. როცა გიორგი XII ჯერ არ იყო გამეფებული, მაგრამ თუ დავიხსომებთ, რომ 1212 წ. დაიწყო 1797 წ. 13 თიბათვეს და გათავდა 2 თიბათვეს 1798 წ., მაშინ ადვილად მივხვდებით ამ ქრონოლოგიას. ერეკლე გარდაიცვალა 11 იანვარს 1798 წ., როცა ჯერ კიდევ ჰიჯრის 1212 წ. იყო 2-ს თიბათვემდე. თვე ზილ-ქადე უდრის ჩვენებურ თებერვლის და მარტის თვეებსა, რაჯაბი კი ოკტომბერსა და ნოემბერსა. ა. ყ—ძე.

## XII

### უმაღლესი ბრძანება

ვაცოდინებთ დიდკვაროვანს ჩვენს ქვეშევრდომს ფანახ-ბეგ ჰე-ქილსა, რომელსაც იმედი უნდა ჰქონდეს მუდმივი ჩვენი სიუხვისა, რომ ამ დღიდან მოვიღეთ მაზედ წყალობა და ვუბრძანებთ იყოს იგი წინამძღოლად და გამგებლად ქარავნებისა, *) რომელნიც გავლენ ჩვენის ქვეყნიდან, ან გაივლიან ჩვენს სამფლობელოზე, ან და კი-დევ სხვა უცხო ქვეყნიდან ჩვენსას მოვლენ. თანახმად ბოძებულის ბრძანებისა განაგებდე სამართლით ჩაბარებულ საქმესა. ქარავნების წინამძღოლთა და გზის მაჩვენებელთა არჩევასა და დანიშვნას, ოდეს ქარავნები გამოივლიან ჩვენს სამფლობელოზე, თქვენ მოგანდობთ იმ პირობით, რომ ქარავანს შეეძლოს მშვიდობით მოსვლა დანიშნულს ადგილსა. ამ ბრძანების უცვლელად აღსრულებას მხოლოდ თქვენ განდობთ და არავის უფლება არა აქვს ხელი შეგიშალოს და თქვენს

---

*) ძველად საქართველოში, შიშიანობის გამო, ქარავანის წინამძ-ღოლს, ანუ ქარავან-ბაშს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ყოველთვის საიმედო კაცი ინიშნებოდა ამ თანამდებობაზე. მარილის მოსატანად, მა-გალითებრ, ყულფიდან, ან ყაგიზმანიდან მთელი ქარავანი შესდგებოდა ხოლმე, რომელსაც მეფე ერეკლე და შემდეგ გიორგი XII განსაკუთრე-ბულ ქარავან-ბაშს უნიშნავდნენ. ქარავანი მიდიოდა საქართველოდან პირ-ველ თიბათვეს. იასაულები წინადვე შეატყობინებდნენ ხოლმე ხალხსა, დრო ქარავანის დაძვრისა მოახლოვდა და წასასვლელად მოემზადენითო. ურმების შესაკრებად რომელიმე ერთი ადგილი ინიშნებოდა. 1806 წ. ასეთ ადგილად იყო არჩეული ს. ქვეში ბორჩალოს მაზრაში. ამ წელს ქარავანს გაუძღვა მელიქი აბოვი, რომელიც ქარავან-ბაშად მეფე გიორგის დროსაც ყოფილა. დასავლეთ საქართველოს—გურიას, სამეგრელოს, იმერეთს და აფხაზეთს მარილი მოსდიოდა ყირიმიდან. ამ სხოლიოში მოყვანილი ცნო-ბანი ჩვენ ამოვიღეთ კავკასიის ისტორიის ღრმად მცოდნეს წერილიდან. წერილები იბეჭდება პსევდონიმით „Тифлисскій старожилъ“.

ა. ყ—ძე.

განკარგულებაში გაყრიოს. თვესა შაბანსა 1212 წ. ჰიჯრისა (1798 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მისი მემკვიდრე დავითისა.

## XIII

### უმაღლესი ბრძანება

ვინაიდან, დაიწყო თუ არა სამსახური ყაზახის მაგალის სახელოვანის ვექილის, მაღალ ხარისხოვანის ფანახ-ბეგის შვილმა, დიდგვაროვანმა და ბრწყინვალე ალი-აღამ, გამოიჩინა სიმხნევე, ქველობა და გონიერება მართვა-გამგეობაში, გამოიჩინა აგრეთვე ჩვენი ერთგულება და თავის შეწირვა, რომელიც ჩვენ თვითონ, მომეტებულ ნაწილად, ჩვენის თვალითა ვნახეთ. ამისათვის კეთილ ვინებეთ გავცეთ ბრძანება და გავაბედნიეროთ იგი სოფელ ფირილუს თავადობისა და დიდებულობის ბოძებითა, რათა ჭეშმარიტად და გზის გადუხვევლად ასრულებდეს თავისს თავადურს მოვალეობას. ასეთის წყალობის გამო, ალი-აღა მოვალეა დღითი-დღე, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, გამოიჩინოს ერთგულება და მზად იყვეს თავი შესწიროს სამეფო ტახტსა ჩვენსა და განუწყვეტლივ ცდილობდეს დაამყაროს ქვეშევრდომთა შორის მშვიდობა და მყუდროება, დაიმსახუროს ასეთის მოქმედებით ჩვენი მადლობა და მოუტანოს სარგებლობა მთავრობასა. მოვალეა აგრეთვე ალი-აღა, რომ არ შეავიწროვოს და არ დასჩაგროს უდანაშაულონი, რათა ილოცონ ჩვენის დღეგრძელობისათვის და მთავრობის საუკუნოდ არსებობისათვის. თვესა ჯამადიულ-ურხისა 1213 წ. ჰიჯრისა (1798 წ. სექტ. დასასრული და ოქტომბრის დასაწყისი). (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მემკვიდრე დავითისა.

ამით ვუბრძანებთ ყველას, დიდსა და მცირსა, ვინც კი სოფელ ფირილუს საზოგადოებაში ითვლება, რომ როგორც ამ უმაღლესს ბრძანებაშია ნათქვამი, მიიღონ და შეიწყნარონ მაღალ ხარისხოვანი ალი-აღა თავიანთ დამოუკიდებელ თავადად და სრულის უფლებით შემოსილ დიდებულად. ჩასთვალონ აგრეთვე თავიანთ მოვა-

ლეობად უკუ არ აგდონ მისი ბრძანება და განკარგულება, რომელსაც საგნადა აქვს მთავრობისა და პირადად ჩვენი სარგებლობა. თვესა ჯამადეულ-უხრისა, 1213 წ. ჰიჯრისა (1798 წ.) (ა. ზ.) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მემკვიდრე დავითისა.

## XIV

## უმაღლესი ბრძანება

ამით ეუწყება დიდგვაროვანს, მაღლა აყვანილს და ღირსეულს ფანახ-ბეგსა, ჩვენს ვექილსა, რომ ამ ჟამად, თანახმად მოლლა-მამედის საქმის განმარტებისა და თქვენისავე მოხსენებისა, ჩვენ გიცხადებთ სრულ ჩვენს სიყვარულსა და ნდობას, რომელიც მუდმივი და შეუწყვეტელი იყო. ნდობა და სიყვარული ესე მტკიცდებოდა მითი, რომ თქვენ ყოველთვის შორს იყავით ურჯ, პირფერი და ორგული საქციელისაგან. ასლან ბეგლუსა და ყურუმ-სუში მომხდარი ამბავი შედეგია შეცდომით ჩვენამდის მოღწეულის ხმებისა, ჩვენ კი ეჭვის თვალით შევხედეთ ასლან-ბეგლუსა და ყურუმ-სუში მომხდარ-ამბავსა. შორს, ძალიან შორსაა ჩვენგან ის აზრი, ვითომც ვფიქრობდეთ, რომ შეცდომას და უსწორობას შექმნოს, თქვენ გამოუკითხველად, დაგვავიწყებინოს ძველადგანვე ერთგული სამსახური იმ ოჯახისა და გვარეულობისა, რომელიც ემსახურებოდა ჩვენს სამეფო სახლსა ერთგულად და რომელიც ერთი გულწრფელ მეგობარ ჰყვანნია ჩვენი და არაოდეს გული არ შეუცვლია ჩვენზე. განა წარმოსადგენელია, რომ ჩვენ შეურაცხება მივაყენოთ და დავაღონოთ ასეთი სახელმწიფო მოღვაწე? რაც მოხდა, მოხდა. დასახელებული დიდგვაროვან-ფანახ-ბეგისთვის ჩვენ ხელ-ახლა გვიწყალობებია ზემოდ აღნიშნული ორი სოფლის უფლება-გამგეობა და მიგვნდვია იმისათვის მოიქცეს ისე, როგორც ჰსურს: თუნდა გაუყოს თავის ძმებსა და ძმისწულებსა, თუნდა მხოლოდ თვითონ დაიტოვოს და ნურავის წილს ნუ დაუდებს. ერთის სიტყვით, აღნიშნულ დიდგვაროვან ფანახ-ბეგს შეუძლიან, როგორცა ჰსურს, ისე განაგოს ამ ორი სოფლის ბედი. სრული იმისი ნებაა, როგორცა ჰსურს, ისე განაგოს და მოი-

ხმაროს ეს ორი ხოფელი. რაც საჭიროა, ისე აღსრულდეს ეს ბრძანება. დაიწერა ზილ-ჰიჯის თვესა, 1213 წ. (1798 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მისი მემკვიდრე დავითისა.

## XV

## უმაღლესი ბრძანება

უმაღლესად ებრძანებად მაღალხარისხოვან გარსევან-ბეგ ეშიკაღასი-ბაშის, რომ როგორც განსვენებული ჩემის მშობლის დროს ეძლეოდა დიდგვაროვან ვექილს ფანახ-ბეგსა ჯამაგირად ორმოცი თავრიზული თუმანი, რაიც შემოწმებულია მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელთაგანაც, აგრეთვე ჩვენც გავუჩინეთ ფანახ-ბეგსა ყოველწლივ ზემო აღნიშნული ფული ყაზახის პროვინციის სახარჯო შემოსავლიდან. ამის გამო აღნიშნული საცხოვრებელი უნდა ჩაჰბარდეს ზემოდ დასახელებულ დიდგვაროვან ფანახ-ბეგსა. ამ ბრძანების აღსრულებაში არავითარი დაბრკოლება და სიტყვის შებრუნება არ უნდა იყვეს და ესე შენს მოვალეობად უნდა მიიღო. თვესა ჯემადი-ულ-ავველსა, 1214 წ. ჰიჯრისა. (1799 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მისი მემკვიდრე დავითისა.

—

ნ. დუბროვინი მოგვითხრობს*), რომ მეფე ერეკლე თავის სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს აღარ განაგებდა სახელმწიფო საქმეებსა. აღა-მაღომეტის შემოსევამ და საქართველოს აოხრებამ დიდად დაალონა და გული მოუკლა შესანიშნავ მეფესა. მწუხარებამ და მოხუცებულობამ თავისი დაღი დაასვა ერეკლეს და, რაღა საკვირველია, თუ ხელიდან გაუსხლტა სამეფოს ბედის ჩარხი. ამითი ისარგებლა მხნე და პატივ მოყვარე დედოფალმა დარიამ და სამეფოს საქმეები ხელთ ჩაიგდო. იმის წყალობით ბატონიშვილი გიორგი,

*) იხ. Георгій XII, послѣдній царь Грузіи и присоединеніе ея къ Россіи. С.-П.-Б. 1897 г.

947.922
3955



მემკვიდრე ტახტისა, თელავიდან გაამყვეს ქ. ტფილისს, ვითომდა მის აღსადგენად, რომ ერეკლეს გარდაცვალების დროს გიორგი თელავში არ ყოფილიყო. გიორგი დიდ ხანს არ დარჩენილა ტფილისს და გაემართა ყაზახს იქაურ აღალარებთან, სოფელ სალა-ოღლის. ცხადია, რომ დუბროვინის სალა-ოღლი დოკუმენტებში მოხსენებული სალაღლი, ანუ სალახლუ არის. ბატონიშვილი გიორგი სალახლუში ბრძანდებოდა, ერეკლე მეფის გარდაცვალების ამბავი რომ შეატყობინეს. ბატონიშვილმა მოითხოვა ჯვარი და სახარება და დაიბარა ხარისხოვანი მოხელენი, რომელნიც თან ახლდნენ. ესენი გამოცხადდნენ. ყველას სახეზე შეკრთომა ეტყობოდა და არ იცოდნენ, რა ექმნათ. შეკრებილთა განიერ წრეს გარს ერტყნენ შეიარაღებული აღალარნი.

ჩემი მშობელი გარდაიცვალა, სთქვა ბატონიშვილმა. მე მისი პირმშო ვარ—მემკვიდრე ტახტისა. ვისაც ჰსურს, შემომფიცოს ერთგულობა, ვისაც არა, თავისუფალია: ვინც უნდა, ის აირჩიოს მეფედ. გიორგის მოწინააღმდეგეთ და მომხრეებმა ერთმანეთს შეხედეს, მერმე გადახედეს შეიარაღებულ აღალარებს და ფიცი მიიღეს. პირველად ერთგულობა შეჰფიცა თ. ივანე მუხრან-ბატონმა. სალა-ოღლში ფიცის შემდეგ მეფედ აღიარეს გიორგი ბორჩალოელებმა.

ამ გვარად ყაზახ-ბორჩალოს აღალარების ერთგულობამ და სიყვარულმა სამეფო ტახტი უშოვა გიორგის, იულონი კი და თვით დედოფალი დარია ხელცარიელი დარჩნენ, თუმცა ძლიერი მომხრეები ჰყავდათ.

აი სწორედ საქართველოს ისტორიის ამ ხანას მეტის-მეტად ცხადად ჰყოფს დღეს დაბეჭდილი თხუთმეტი დოკუმენტი ვექილაანთ გვარისა. ყაზახ-ბორჩალოს აღალარების ერთგულება ჩვენის სამეფო გვარისადმი განთქმული იყო ძველად. ასე გასინჯეთ ერთგულებას და სიყვარულს იჩენდნენ ხოლმე მეფის დაახლოვებულ მოხელეთა მიმართაც. ელჩი გარსევან ჭავჭავაძე რომ დაბრუნდა რუსეთიდან, 300 აღალარი მიეგება დარიალის ხეობაში. დღესაც ბევრს მათგანს თავი იმითი მოაქვს, რომ საქართველოს მეფეთაგან ბევრი წყალობა გვინახავსო. ან კი როგორ არ იამაყონ და სიამოვნებით არ გაიხსენონ წარსული, როდესაც სახელოვანი მეფე ერეკლე და

მისი მემკვიდრენიც ასეთის მზრუნველობით ჰპატრონობდნენ მათს ქვეყანას, როგორც ეს სჩანს დაბეჭდილი დოკუმენტებიდან. ყველაზე მომეტებულად თვალსაჩინო ისაა, რომ საქართველოს მეფენი ავალებენ თავიანთ მოხელეებს სიმართლით მოიქეცით, ღარიბ-ღატაკი არ შეაწუხოთ გარდასახადითო, დიდსა და პატარას ღმობიერად მოეპყარითო და სხვა. ყველამ იცის, რა უბედური დრო იყო ჩვენთვის მეთვრამეტე საუკუნე. ძალმომრეობა, სისასტიკე, ბოროტება, ძარცვა-გლეჯა, დაწიოკება და აოხრება ქვეყნისა შეადგენდა დღიურ ჯარამს და აი სწორედ ამისთანა დროს მეფე ერეკლეს ბრძანება განუწყვეტლივ ჰქადაგებს კაცთმოყვარეობას, ღმობიერობას, ჩაგრულთა დახმარებას, ხარჯ-ბეგარაში თანასწორობას, სამსაჯულოში სიმართლეს და პატიოსნებას, სწორედ იმას, რისთვისაც თავებს იხეთქავდნენ საფრანგეთის ენციკლოპედისტები და რევოლიუციონერები. უყურადღებოდ ნურც იმას დავსტოვებთ, რომ ბრძანება იგზავნება განაპირა ქვეყანას, სადაც მოსახლეობენ მხოლოდ თათარნი და სომეხნი. როგორც სჩანს ჩვენის დოკუმენტებიდან, საქართველოს მეფენი თავიანთებს არ არჩევდნენ სხვებიდან და ალბად აგი ამიტომაც ამ სხვებს ასე უყვარდათ ჩვენი მეფენი.

სამწუხაროდ, ცნობა არა გვაქვს, პირველად რა ენაზე დაიწერა დღეს ჩვენ მიერ თარგმნილი დოკუმენტები: ქართულად, თუ თათრულად.

ა. ყ—მე.

39037

947.922
03 955